



№38/1059-15



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით  
I შ ე ს ა ვ ა ლ ი

26 აპრილი, 2016 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - მანანა ჩოხელი

სხდომის მდივანი - სოფიო ჯაფარიძე

აპელანტები - საქართველოს მთავარი პროკურატურა, სამცხე-ჯავახეთის საოლქო  
პროკურატურა

წარმომადგენლები - ნ. გ., ა. კ.

მოწინააღმდეგე მხარე - ო. ს.

წარმომადგენელი - ი. მ.

დავის საგანი – ქმედების განხორციელების დავალება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის  
04 ივნისის გადაწყვეტილება

**II ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი**

**1. აპელანტების მოთხოვნა**

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილების  
გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის  
თქმა.

**2. მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია**



მოწინააღმდეგე მხარე არ დაეთანხმა სააპელაციო საჩივარს და ითხოვა გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

### 3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

#### 3.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ო. ს.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა. სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას დაევალა ო. ს.-ს გადასცეს სისხლის სამართლის 084010313801 საქმეზე დართული, სსიპ საერთო სასამართლოების არქივიდან გამოთხოვილი ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 15 აგვისტოს (1/261) სისხლის სამართლის 92060838 საქმის მასალების ასლები.

#### 3.2. დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 15 აგვისტოს განაჩენით ო. ლ.-ს ძე ს. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქ/პ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, ო. ს.-ს პირობითი მსჯავრით შეეცვალა შეფარდებული სასჯელი და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 4 წელი. საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების თანახმად დამატებითი სასჯელის სახით დაკისრა ჯარიმა 5000 ლარი.

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის 084010313801 საქმეზე, ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსის ლ. ა.-ს მიერ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან 2013 წლის 2 აპრილს ამოღებული იქნა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის სისხლის სამართლის 1/261 საქმე და მტკიცებულების სახით დაერთო სისხლის სამართლის 084010313801 საქმეს.

2014 წლის 24 ივნისს ო. ს.-მ განცხადებით მიმართა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას და ითხოვა სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, რაზეც მიიღო უარი, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე მას ჰქონდა მოწმის სტატუსი, რის გამოც ბრალდების მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას გადაეცა მისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები.



14.07.2014წ. **ო. ს.-ს** წარმომადგენელმა განმეორებით მიმართა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორს და ითხოვა სისხლის სამართლის 92060838 საქმის მასალების ასლების გადაცემა. 29.07.2014წ. სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსმა მიმართა **ო. ს.-ს** წარმომადგენელს და აცნობა, რომ სისხლის სამართლის 084010313801 საქმეზე, **ო. ს.-ს** აქვს მოწმის სტატუსი, შესაბამისად ბრალდების მხარეს ვერ უზრუნველყოფს მოწმისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გადაცემას.

2014 წლის 13 აგვისტოს მოსარჩელემ საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და ითხოვა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის 2014 წლის 29 ივლისის 0005209584 გადაწყვეტილების გაუქმება და სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორის დავალდებულება გადასცეს **ო. ს.-ს** სისხლის სამართლის 92060838 საქმის მასალების ასლები.

ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მოსარჩელეს 12.09.2014წ. მიმართვით, 2014 წლის 13 აგვისტოს **XX/XX-XXXXX** საჩივრის პასუხად აცნობა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოწმეზე **ო. ს.-ზე** ვერ მოხდება ბრალდების მხარის მტკიცებულებების გადაცემა.

### **3.3. დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:**

საქართველოს კონსტიტუციის 42.1. მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისი დარღვეული, შეზღუდული, წართმეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა-აღდგენისათვის მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე. ასეთი სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელებლობა (უმოქმედობა) იყოს უკანონო და ქმედების განხორციელებაზე უარის თქმით უშუალო და პირდაპირი ზიანი უნდა



ადგებოდეს მოსარჩელე მხარეს. ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქართველოს კონსტიტუციის 41.1 მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული პრინციპი აგრეთვე რეგლამენტირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28.1 მუხლში, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საქმის განხილვით დადგენილია, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 15 აგვისტოს 1/261 განაჩენით **ო. ს. ცნობილი** იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქ/პ. მითითებული სისხლის სამართლის საქმე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან ამოღებული იქნა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის 084010313801 საქმეზე დასართავად. მოსარჩელე ითხოვს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას დაევალოს სისხლის სამართლის 084010313801 საქმეზე დართული 2006 წლის 15 აგვისტოს ბორჯომის რაიონული სასამართლოს 1/261 განაჩენით დამთავრებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემა. ის გარემოება, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე თანდართული იქნა 084010313801 სისხლის სამართლის საქმეზე ვერ შეცვლის მოსარჩელის უფლებას გაეცნოს და მიიღოს მის შესახებ არსებული პირადი, პერსონალური ინფორმაციის შემცველი მასალები.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-13 ნაწილით



გათვალისწინებული ბრალდებულის უფლება, ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით მიიღოს მტკიცებულებებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, რადგან სისხლის სამართლის 92060838 საქმე, სადაც მოსარჩელე მონაწილეობდა ბრალდებულის სახით დასრულებულია მოსარჩელის მსჯავრდებულად ცნობით შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე მოსარჩელეს, როგორც სისხლის სამართლის 92060838 საქმეში მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის 92060838 საქმეში მის შესახებ არსებულ მასალებს და მიიღოს მათი ასლები, მიუხედავად იმისა მოცემულ მომენტში სად და რა სტატუსით იმყოფება აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე. გამომდინარე იქიდან, რომ სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში სასამართლოს არქივიდან გადაგზავნილი იქნა სისხლის სამართლის 92060838 საქმე, რის გამოც მოსარჩელეს აღარ აქვს შესაძლებლობა მის მიმართ ნაწარმოები საქმის მასალები მოიძიოს სასამართლო არქივში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე უდავოა, რომ სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას, როგორც ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სუბიექტი - ადმინისტრაციული ორგანო. სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა, მოცემულ შემთხვევაში როგორც ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი ორგანო, რომელთანაც იმყოფება მოსარჩელის შესახებ პერსონალური ინფორმაცია ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფლება და პერსონალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს მოსარჩელისათვის.

მართალია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, თუმცა სასამართლო უთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა არ ეხება სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის იმ საქმიანობას, რაც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, არამედ დავა ეხება იმ პირის მიერ პერსონალური ინფორმაციის მოპოვებას, რომლის შესახებ პერსონალური ინფორმაცია მოცემულ ეტაპზე დაცულია მხოლოდ პროკურატურის ორგანოში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.





საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ **ო. ს.-ს** სარჩელის საფუძვლიანია, ვინაიდან სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის უარი ქმედების განხორციელებაზე უკანონოა და პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, აღნიშნული კი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

#### **4. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები**

აპელანტები მიუთითებენ, რომ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 3.1 მუხლში რეგლამენტირებულია საქართველოს პროკურატურის ამოცანები: პროკურატურა კანონით დადგენილი წესით: ა) ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას; ბ) სისხლის სამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიების სტადიაზე; გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას; დ) ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას; ე) ამოწმებს თავისუფლება აღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებს და ასრულებს საპროცესო მოვალეობებს დაკავების ადგილებსა და პენიტენციურ და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს აღასრულებენ; ვ) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს, როგორც მხარე და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას; ზ) კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას; თ) სახელმწიფოს სახელით, როგორც მოსარჩელე, მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებში; ი) საქართველოს



კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, ეს კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს.

ამავე კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის N084010313801 საქმეზე, ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო **ო. ს.-სა** და **დ. ჩ.-ს** ერთობლივი განცხადება.

გამომიების ინტერესებიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან ამოღებული იქნა **ო. ს.-ს**, **დ. ჩ.-სა** და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის N 920608338 საქმე და მტკიცებულების სახით დაერთო სისხლის სამართლის N 084010313801 საქმეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების



დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო- კინო- ვიდეო ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

აპელანტი აღნიშნავს, რომ ამავე მუხლის 25-ე ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულება არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან.

ზემოაღნიშნული მუხლები და საქმის ფაქტობრივი გარემოებები ცალსახად მიუთითებს, რომ პროკურატურა განსახილველ შემთხვევაში ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას, რომელიც დაკავშირებულია გამოძიებასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან და დღეის მდგომარეობით სადაო დოკუმენტებს გააჩნიათ სს საქმეზე მტკიცებულების სტატუსი. ამ დოკუმენტების (სს საქმის მასალები) მოპოვება სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურისთვის გამომდინარეობდა სისხლის სამართლის საქმიდან და მისი მოპოვება მოხდა სს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე და მათი დაცვით, შესაბამისად, შესრულდა საგამოძიებო მოქმედება - ამოღება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში აპელანტისთვის გაუგებარია სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ მოცემულობაში სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა არის ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი.

აპელანტი აღნიშნავს, რომ განმცხადებელ **ო. ს.-სა** და სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას შორის არსებული სამართალურთიერთობა გულისხმობს, კონკრეტული საქმის გამოძიების ეტაპზე ამ საქმეზე არსებული მტკიცებულების გადაცემას, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არაა ნებადართული. არც მისი, როგორც მოწმის სტატუსიდან, ასევე არც მისი, როგორც განმცხადებლის (პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი) გამომდინარე. ვინაიდან აღნიშნული დარეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს ზოგადი





ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება კი აღნიშნულზე არ ვრცელდება ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ამას გარდა, აპელანტი მიუთითებს, რომ ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში.

სასამართლო გადაწყვეტილება დაფუძნებულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ ნაწილზე, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ პუნქტსა და 28-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

აპელანტი აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს მასზე არსებული პერსონალური მონაცემები, მიუხედავად იმისა დოკუმენტი მოცემულ მომენტში რა სტატუსით იმყოფება.

თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილია პერსონალური მონაცემები, მაშინ მასზე ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაცია, რომლის 21-ე მუხლის ადგენს მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას, თუმცა ამავდროულად, 24-ე მუხლი ადგენს ამ უფლების შეზღუდვის სხვადასხვა საფუძველს, მათ შორის, ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი ადგენს, რომ მონაცემთა სუბიექტის ამ კანონის მე-15, 21-ე და 22-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამ უფლებების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას.

შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სისხლის სამართლის მასალების/ინფორმაციის გაცემის სპეციალური წესი. აღნიშნული მასალა, თავისთავად შეიცავს სხვა პირის პერსონალურ მონაცემს.

### III ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:



საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

### 5.1. ფაქტობრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მიუთითებს მათზე და აღნიშნავს შემდეგს:

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 15 აგვისტოს განაჩენით **ო. ლ.-ს** ძე **ს. ცნობილი** იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქ/პ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, **ო. ს.-ს** პირობითი მსჯავრით შეეცვალა შეფარდებული სასჯელი და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 4 წელი. საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების თანახმად დამატებითი სასჯელის სახით დაკისრა ჯარიმა 5000 ლარი (ტ-1, ს.ფ. 14-20).

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის 084010313801 საქმეზე, ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი



უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლო ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსის **ლ. ა.-ს** მიერ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან 2013 წლის 2 აპრილს ამოღებული იქნა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის სისხლის სამართლის 1/261 საქმე და მტკიცებულების სახით დაერთო სისხლის სამართლის 084010313801 საქმეს (ტ-1, ს.ფ. 34).

2014 წლის 24 ივნისს **ო. ს.-მ** განცხადებით მიმართა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას და ითხოვა სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, რაზეც მიიღო უარი, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე მას ჰქონდა მოწმის სტატუსი, რის გამოც ბრალდების მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას გადაეცა მისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები (ტ-1, ს.ფ. 21).

14.07.2014წ. **ო. ს.-ს** წარმომადგენელმა განმეორებით მიმართა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორს და ითხოვა სისხლის სამართლის 92060838 საქმის მასალების ასლების გადაცემა. 29.07.2014წ. სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსმა მიმართა **ო. ს.-ს** წარმომადგენელს და აცნობა, რომ სისხლის სამართლის 084010313801 საქმეზე, **ო. ს.-ს** აქვს მოწმის სტატუსი, შესაბამისად, ბრალდების მხარეს ვერ უზრუნველყოფს მოწმისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გადაცემას (ტ-1, ს.ფ. 22-23).

2014 წლის 13 აგვისტოს მოსარჩელემ საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და ითხოვა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის 2014 წლის 29 ივლისის 0005209584 გადაწყვეტილების გაუქმება და სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორის დავალდებულება გადასცეს **ო. ს.-ს** სისხლის სამართლის 92060838 საქმის მასალების ასლები (ტ-1, ს.ფ. 24-25).

ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მოსარჩელეს 12.09.2014წ. მიმართვით, 2014 წლის 13 აგვისტოს **XX/XX-XXXXX** საჩივრის პასუხად აცნობა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოწმეზე **ო. ს.-ზე** ვერ მოხდება ბრალდების მხარის მტკიცებულებების გადაცემა (ტ-1, ს.ფ. 26).

## 5.2. სამართლებრივი დასაბუთება:

პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითებს მათზე და სააპელაციო საჩივრის ფარგლებში დამატებით აღნიშნავს შემდეგს:



საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი ითვალისწინებს მავალდებულებელი სარჩელის განსაკუთრებული ფორმის - მოქმედების განხორციელების თაობაზე მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას, მისი მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი ადმინისტრაციული ზომების (რეალაქტის) განხორციელების მოთხოვნა, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ასეთი სარჩელის მოთხოვნა საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებიდან გამომდინარე ასეთი მოქმედების განხორციელების ვალდებულების დადგენას.

პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებულ ინფორმაციის სახეებს, რომელთან ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის გარანტიები მოცემულია კოდექსში და ამასთან, აღირებულია ქვეყნის ძირითადი კანონით.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. დემოკრატიული წესწყობილებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა. სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტებიდან ინფორმაციის მიღება ექვემდებარება კანონისმიერ მოწესრიგებას. პირად მონაცემებზე უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. გამჭვირვალობის საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით განსაზღვრულია ინფორმაცია, რომლის ღიაობა აღემატება ინფორმაციის გასაიდუმლოების ინტერესს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (რომელიც შესაძლებელია იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ნახაზის, მაკეტის, გეგმის, სქემის, ფოტოსურათის, ელექტრონული ინფორმაციის, ვიდეო და აუდიო ჩანაწერის სახით), რომელიც საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიღებულია, დამუშავებულია, შექმნილია ან გაგზავნილია სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>1</sup> მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.



აღნიშნული კანონი ადგენს პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ცნებას და დამუშავების საფუძვლებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. პალატა აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაურებას. პალატა აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემი არის პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი საშუალება, პერსონალური მონაცემის დაცვაში საბოლოოდ პრიორიტეტი ენიჭება არა მგრძობიარობის, არამედ იდენტიფიკაციის კრიტერიუმს - მონაცემი დაცვას ექვემდებარება უკეთეს შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია მონაცემის ხელმისაწვდომობა, ღიაობა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსში 25.05.12წ. კანონით შეტანილი ცვლილებების (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხ. „ნ“ ქვეპუნქტი, 44-ე მუხ., 99-ე მუხ.) თანახმად, პერსონალური მონაცემი კონფიდენციალურ ინფორმაციას განეკუთვნება. ამასთანავე, პალატა აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილია, მონაცემთა დაცვის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები პრაქტიკულად ყველა დარგში არსებობს. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ მონაცემთა დაცვის საერთო რეგულაციასთან შედარებით მონაცემთა დაცვის სპეციალურ სფეროთა რეგულაციის ნორმებს უპირატესი, პრიორიტეტული ძალა ენიჭება, მონაცემთა დაცვის ზოგადი კანონი ძირითად მნიშვნელობას იძენს მონაცემთა დაცვის განსაკუთრებული რეგულაციის არ არსებობის პირობებში.

საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არის პირის პერსონალური მონაცემი, შესაბამისად, ასეთ ინფორმაციაზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმი.

ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან





სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება.

პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 15 აგვისტოს 1/261 განაჩენით **ო. ს. ცნობილი** იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქ/პ. მითითებული სისხლის სამართლის საქმე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან ამოღებული იქნა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის 084010313801 საქმეზე დასართავად. მოსარჩელე ითხოვს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას დაევალოს სისხლის სამართლის 084010313801 საქმეზე დართული 2006 წლის 15 აგვისტოს ბორჯომის რაიონული სასამართლოს 1/261 განაჩენით დამთავრებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემას.

პალატა იზიარებს რაიონული სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემულ ეტაპზე მოსარჩელეს, როგორც სისხლის სამართლის N92060838 საქმეში მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის N92060838 საქმეში მის შესახებ არსებულ მასალებს და მიიღოს მათი ასლები, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში სად და რა სტატუსით იმყოფება აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე. გამომდინარე იქიდან, რომ სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში სასამართლოს არქივიდან გადაგზავნილი იქნა სისხლის სამართლის N92060838 საქმე და მოსარჩელეს აღარ აქვს შესაძლებლობა მის მიმართ ნაწარმოები საქმის მასალები მოიძიოს სასამართლო არქივში, სადაც ასევე დაცული არ არის მისი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე მასალები.

პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას, რომ მოსარჩელის უფლებების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას, რამდენადაც დადგენილია და სადავო არ არის, რომ სისხლის სამართლის N92060838 საქმეზე, საიდანაც ითხოვდა მოსარჩელე პერსონალური ინფორმაციის გამოთხოვას, მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება, ამ საქმესთან დაკავშირებით განაჩენი გამოცხადებულია საჯაროდ, იგი სრულად არის კანონიერ ძალაში შესული, მხარეებს როგორც განაჩენი, ისე საქმეში არსებული მასალები გაცნობილი და ჩაბარებული ჰქონდათ; მხოლოდ ის გარემოება, რომ არქივიდან ამოღებული დასრულებული საქმე დაერთო მიმდინარე სხვა სისხლის სამართლის საქმეს, იმავე საქმეზე მსჯავრდებული პირისათვის, ამ შემთხვევაში **ო.ს.-სათვის**, ვერ გახდება ზემოაღნიშნული უფლების შეზღუდვის საფუძველი.



სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა, მოცემულ შემთხვევაში როგორც ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი ორგანო, რომელთანაც იმყოფება მოსარჩელის შესახებ პერსონალური ინფორმაცია, ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფლება და პერსონალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს მოსარჩელისათვის.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებას ან კანონიერ ინტერესს, სასამართლო კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების შესრულებისაგან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არსებობს ინფორმაციის გაცემის დავალების საფუძველი.

## 6. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გათვალისწინებითაც სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილება.

## 7. საპროცესო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აპელანტები გათავისუფლებულნი არიან სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

## IV ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**



1. აპელანტების საქართველოს მთავარი პროკურატურის და სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კასაციის წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), დასაბუთებული განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა);

მოსამართლე:

მანანა ჩოხელი